

რედაქცია

ველი მინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეტოვის სახლში.

ხალის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. შალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Вь Тифлисе. Вь редакцію газеты „Дრობა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. სალკა ნომერი — ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირადღით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, ქრებულს, და სხვანაირ კუხულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 2 კაპ., ციცერონით, სტრიქონ — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს გამოცხადებულ სტატიებსა და დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ თვის 11-ს „დროების“ რედაქცია ვილიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეტოვის სახლში, კოლინიის პირ და პირ გადავიდა და ამის გამო ვსთხოვთ დღეის უმადვ ვისაც ხსენებულ რედაქციასთან რამე საქმე ექნებათ, ამ აღვანით მიმართონ.

საქართველო

ვისი ბრალია

მდევლების სიღარიბე?

შოველს მდევლებს ყველა თავისი მრევლი ეძლევა სულითა და გულით. ამის გამო უბრალო სოფლის მდევლებს აქვს მინიჭებული ყველაზე უმეტესი ძალა გავლენისა მრევლებზე ანუ ხალხზედ.

მაშა სადამე მდევლებს შეუძლიან, არა თუ თავის ცხოვრება გააუმჯობესონ და ან პატივი იცეს, ანუ ხალხს ეკლესია შეაყვაროს ამ თავის დიდი გავლენითა, არამედ შეუძლიან თვით ღარიბი მრევლის ცხოვრებაც გააუმჯობესონ, მათში ყოველი ბოროტ-მოქმედება და უთანხმოება მოსპოს, მათში ყოველი უმეტრება და თვალთ სიბნელი ამოხროს და განათლების კვალზედ სხვაზედ უფრო მალე გაატაროს.

მაგრამ, დღეს თუ ვინმე ხალხში ზემონათქვამ ღირსებებს მოკლებულია და მის სანაცვლოდ უმეტრების მორცხეში ტრიალებს და თუ ყოველი კეთილის გზა ბნელია, — ამაში, აშკარაა, ერთი წილი დანაშაულობა არის ჩვენი ზოგიერთი ახლანდელი მდევლების გულსიგრილისა და მოვალეობის გულიანათ აუსრულებლობისა.

თუ რომელიმე მდეველი ღარიბია და ხალხისგან უპატივცემულია, აქედამაც აშკარადა სჩანს, რომ იმათ თავიანთი თავი ხალხისთვის მდევლიურ წესზედ არ დაუნახებია, ამ მდევლებში არაფერი საპატივცემო ღვაწლი ვერა უბოვია რა და ამიტომაც იმათზედ გული აუყრიათ და თავიანთი მდევლის სიყვარული და პატივისცემა გულიდან გადარეცხიათ; ამიტომაც სიღარიბეში და უპატივცემობაში ჩაცეინულან.

თუ ეკლესიაში სიარულზედაც დაზარალებულან, აქედამაც აშკარადა სჩანს, რომ ესენი თითონ ეკლესიაში იმ ნორჩ მორწმუნე თვალ წინ ისე სასოებით და მდევლებს წესზედ არ მოქცეულან, როგორც რიგია, იმათის შეხედვით, და ამათაც აღარაფრად აღარა ჩაუგდიათ რა; ასე ნელ-ნელა გულის სიგრილეში აღზრდილან, და ამნაირად, როგორც ზოგიერთი მდევლების სიტ-

ყვიდანა სჩანს, ეკლესიაში სიარულზედაც დაზარალებულან.

რასაკვირველია, ყველა მდევლებზე არ ითქმის ეს, რაცა ესტკვით. ბევრი მდეველი ჩვენში ნამდვილის ქრისტიანულის წესით ასრულებს თავის დანიშნულებასა.

მაგრამ სანატრელია, რომ ამისთანა საგნებზე ლაპარაკი, როგორც ზევით არის, რაც შეიძლება მალე მოსპობილიყოს ჩვენში, და ამას მხოლოდ მაშინ ვეღარსებთ, როცა ჩვენი მდევლები ყველანი კარგათავაგიგებენ თავისნამდვილ დანიშნულებასა, და არა თუ მართა გაიგებენ, ეცდებიან კიდევ, რომ ამ დანიშნულების დაგვარად მოიქცნენ.

ს. ტერვაძე

დღიური

ქვემო იმერეთის ერთი სოფელიდამ (ჭიხაიშიდამ) გვატყობინებენ, რომ აქაურ სოფლის საზოგადოებამ გამსესხებელ-შემნახველი ბანკის (ამხანაგობის) დაწესება გადასწყვიტა. ამხანაგობის პროექტი თითქმის 50-ათ არისო და მოკლე ხანში ადგილობრივ მთავრობას უნდა წარუდგინონ დასამტკიცებელათაო.

ჩვენ შევიტყვეთ, რომ უფ. ბ. მირზოვეს თავის მიტკლის საქსოვი ფაბრიკა ბაქოში გადააქვს. ამბობენ,

ფელტონი

კველთა გეგმავა დაწერილი ლექსები *)

მეფის ირაკლისა მე ფერხან ბანილთა ეკლესია ვადიდე, იესო, სული შენი მომხებრეკლებულსა (?).
დედოფლის ღარიასი მინ არს მიზევი არსთა მკობისა, მანცა წიადში დედოფლობისა.
მეფის ბიორგისა სიმღაბლით ჩვენთვის გარდამოსრულსა იესოს ვმონებ ღმერთ-კაცად სსულსა.
მისიევი პისტიტელ პადიტ ალაბიტაევი, (?) იესო, ჩემო მომიმუშაევი!
მეთევეან ბატონრძლისა მინ დავითს ვერხო, ვთვისა, მან სძლათ მყო მადლის მეფისა.

*) ეს ლექსები თ. დ. ბ. პრისთავა გადმოგვცა ჩვენ დასაბეჭდათ, რომლისთვისაც მადლობას ვუძღვებით. ზოგიერთ ლექსებთან დასმული კითხვითი ნიშანი (?) ნიშნავს, რომ ამ ლექსების ჰაზრი კარგათ არ გვესმის.

ლვონისა ტომთა მეფეთა ძესა ლეონ სახელად მძესა.
იულონისა ლეთის მშობლათ სასოიანი იულონ დავითიანი!
პახტანგისა ლომად იუდას ბაკეთად პახტანგ ირაკლის ნაკეთად.
დავითისა მრთს ღმერთსა ვესავ სამოზით, დავით ლეთის მამის ტომობით.
იოანესი სასოებად მაქვს ძელი ცხოველი, მჩრბოლსა ცხოვრებას მისგან მოველი.
ბერატისა იესოს ვმონებ ყოვლის მპრობელსა, მადიდებ ჩემსა განმამზობელსა.
შარანოზისა ლეთის მშობელმან წილით მფარსა, მაზ კეთილთა მე შტოდ შემეწუნარსა.
ბრიგოლისა მეფის ძის ძისა მაქვებს ვვა ბრიგოლ იათობით (?)
მეფის სოლომონის I-სა დავითის ნორჩი, ჯვართ მტერს მოვჩრი, უძლოთა მეტრევი, ლომებრ მეფევი, მტერთ სისხლთ მჩქევი, იმერთ მეფევი.
ამისიევი დედის დედოფლისა სძლად მომიწოდა პალატმან, სახლმან სოლომონ ბრძინისმან.

მეორე სოლომონისა მინ დავითისით ჩჩილმან იღმერთა, მან ძლიევითა მყო მეფე იმერთა.
მისიევი ძეთილ ძართაგან ბრტოვანი მეფე ვზი ბაგრატოვანი.
თამარ დედოფლისა დედათა მარლილი ვარ.
ბაკია დავითისა მინ აღმკუნა ცანი მარადიანი, მით ვფლობ ქვეყანას მე დავითანი.
მამია ბურგიელისა სადგური მლიასი, მიყვარს მისი ხმა მიამებისა (?).
ჰყოინდლისა მამამან ძველად, მსჯულ საფურძველად, ჰყოინდს მასაყდრა ათორთ მბაძველად.
ლეონ აბაშიძისა ღმერთსა ვმონებ, მეფესა ვეკობ, ამ ორითა მტერს დავამზობ.
ნიკოლოზ აბაშიძისა ლეთათ კაცად ვესავ ძრისტესა, მწე მექმენ აბაშიძესა.
რაჭის პრისთავისა ძრისტეს მოსაევი სიყრმიდგან და მისგან ხსნილი სიბრძინდგან.

ბაბრიელ მინაჩია აქაურ მუშებს ემდურისო... მაგრამ იმაზე კი არაფერს არ ამბობენ: მუშები ბაბრიელ მინაჩის ემდურიან, თუ არა...

მაფრთხილებთ ყველას, რომ შალაქში ამ უკანასკნელ დროს ყალბი აბაზიანები გაჩნდა და ყურადღება მიაკციონ, თუ არ უნდათ, რომ მოტყუებული დარჩნენ. რამდენიმე ენახეთ და ყველა სულ ახალ მოჭრილი აბაზებიანია; კალისა და ხელით იღუნება.

სამეგრელოდანც ხშირი საჩივარი გვესმის იქაურს მამასახლისებზე და საზოგადოთ სოფლის მოხელეებზე.

მაგრამ ამაზე უფრო ხშირად იქაური აღმინატრაციის ზოგიერთ წვრილ ჩინოვნიკებს უჩივიან. მრთი ჩვენი შემთხვევითი კორრესპონდენტი შემდეგ შემთხვევას გვაცნობებს ახალ სენაკიდან:

„მრთ საწყალ გლგებს სოფლიდამ მოყვანა ცხენი და სტანციასთან გაჩირბოლოდო. საორა, შოთისოლომ რკინის გზით მომავალ ცოლს უცდიდა. ამ დროს უუხდის სასამართლოდამ ერთი ვილატ მწერალი გამოვიდა და დიდის ვაი-ვაგლანითა და ყვირილით წაართვა ამ გლგებს ცხენი, შეჯდა ზედ და სადღაც გასწია. ბლგებს ეგონა, ცხენი წამართვესო,

პახტანგისაგან თქმული მარიამ მდივანბეგის ცოლზე სინანულს მიმეც, ვით მეგვიბტელი, მარიამ ვებეჭდვ სამართელი.
მეფის დავითის აღმამეწებლისა ჰვარიითა მტერთა მძლეველი, დავით ვებეჭდვ უძლეველი.
იოანე მუხრან-ბატონისა მრთი ღმერთი მწამს, ერთი ბატონი, სარდალ-სალხუცეს მუხრან-ბატონი.
დიდ მეფე სოლომონისა მე ფესთ შეგეწო სამოსს იესო, ლომო ნივთობით იუდიით ვსცენო (?).
მანანა ორბელიანისა. (თქმული აღმამეწებლისა)
უდროთ მზის დასვლით მბნელთა სოფელ-მან ანაზდელად.
თამარ პრისთავისა (მართაშვილის ასულისა) ლეთის მშობელს ვესავ მისი მარი და ძესა მისსა ვმონებ თამარი.
მაია შულარაღაზის ასულის ბეჭედზედ კენინა ორბელიანისა, რომ დაქერიდა იგი: სოფელმან ია ვრობითა, დამცა ყველი ზრობითა.
და როს მეორეთ გათხოვდა, დაწერა ესრედ: სოფელი, შენმა იამა შენივე ნახე იამა.

და როცა რვა საათის შემდეგ, თუმცა დაქანცულ-დაღალული ცხენი მწერალმა უკან დაუბრუნა, ისეთ ნაირად გაუხარდა, თითქო ფიქტებიონს.

□ მართი წელი გლეხი მომკვდარა ამას წინათ მუთათისში და სოფელში წაუღიათ დასამარხავად. როცა ადგილობრივი მღვდელი მოუწვევიათ, ამას უთქვამს, რომ „რადგან მიცვალებულს ვაჟი არ დარჩენია, ამის წილი „ღრამა“ მეკარგებაო და ამის გამო, თუ ხუთ თუმანს გამოგიზავნით, მოვალ და გავასვენებო; თუ არა, არაო.“ შირისუფლებს ბევრი უხევეწნათ, რომ ამდონის მოცემა ჩვენ ღარიბ გლეხს სად შეგვიძლიაო; მაგრამ მღვდელი არ დათანხმებულა. სამი დღის შემდეგ, იძულებული გამხდარან ჭირისუფლები, რომ თავიანთი მიცვალებული წეს-აუგებელად და უმღვდლოთ ჩაგბარებინათ მიწისთვის. ზამოჯარეული მღვდელი დაქადნებია, რომ რახანც ვგვრავ, ახლავ მუთათისს წავალ და გამოვაცხადებო, რომ თქვენ მუთათისილამ ცხედარი გამოაპარეთ და ამისთვის თქვენც დანაჯებით და თქვენ მკვდარსაც ამოვალდებინებ; რომ დაამოწმონ, ფინიკის იქნება ხოლოვით მოკვდამო. შემინებულ ჭირისუფლებს, რომ მიცვალებული მართლა არ „გაგვიჯახირინო“, სადღაც უსესხნათ სამი თუმანი და დიდის ხევეწნით დაუშო. შმინებიათ გაცხარებული მღვდელი, რომელსაც რამდენიმე დღის შემდეგ სასაფლაოზე აუგია წესი მიცვალებულისათვის.

□ სამეურნეო საზოგადოების გამგებელი კამისია უცხადებს იმ პირთ, რომელთაც რამე საგანი ჰსურთ გამოფინონ, რომ ამისათვის უუ. სტ. ხოჯაევს, მ.ტ. მარკრაფსა და სერ. ბეგთაშევს უნდა მიმართონ, რომელნიც განგებ ამ გამოფინის გასამართავად არიან დანიშნულნი.

□ იმ ახალგაზდა ქალის სახელი, რომელმანც გასულ 6 სექტემბერს მოიკლა თავი აქაური რკინის გზის სტანციოზე, არის ზუიკოვი. როგორც ამბობენ, ამ უკანასკნელ დროს ეს ქალი თავის გონზე ვერ ყოფილა თურმე და ძლიათ მოუკლავს თავი.

თხილისის სამკურნალო
(4 აპრილის სახლოვად)
მრეწვის მედანზე, ჩიტახოვის სახლებში.
ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დიდის 9 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე.

მ რ შ ა ბ ა თ ს: ექიმი ტელიაჭუსი — ქალისა და ყმაწვილების ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცივი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.
ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.
მ თ ხ შ ა ბ ა თ ს: ლისიცივი — შინაგანი ავათმყოფობის, მაკოვსკი — ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ბრაზოვსკი — ხირურგიული ავათმყოფობა, ტელიაჭუსი — ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობა და მერმიშევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ლისიცივი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის, მაკოვსკი — ვენერიული ავათმყოფობისათვის.

უამოკრილსად ვსთხოვთ იმ ჩვენს ხელის-მოგვარებას, რომელთაც უარსანდელი ანუ ფლავანდელი გაზეთის ფული ჯერ არ უამოუბანიათ, რაც უამოკრილსად ვაგალე უამოკრილსად.

„დროების“ კორექსიონდენსია
ახალქალაქი, 6 სექტემბერს

ზაზეთ „მშაკს“ ჩვენი ქალაქიდან სწერენ შემდეგ ამბებსა:

„პირველ სექტემბერს ახალქალაქი მთილისს ტელეგრაფით შეუერთდებოა,

„არის თქმულობაო, რომ ბორჯომიდან გზას გაიყვანენ ახალქალაქშიო,

„ზამუღმებულმა წვიშებმა დიდი ენება მისცეს იქ წრეწანდელ პურის მოსაეაღსაო,

„წარმოადგინა 14 აპრილს ახალქალაქიდან გეაცნობებენო, რომ მსმლოდგან ვადმოსულ ავახაკებს სამი ყაზახი მოუკლამთო და

„ხსენებულ ქალაქში გაძრიელებული წითელა არისო და მულამ დღე 3-4 ყმაწვილი კვდებაო.“

იძულებული ვარ მოგახსენოთ, რომ ამ ხუთ ამბავში ერთიც მართალი არ იპოვება.

1) მართალია, ახალციხიდან ახალქალაქამდის აყუდებული ბოძები გვიქადიან, რომ ახალქალაქი ოდესმე ტელეგრაფს ეღირსებაო, მაგრამ ნამდვილად ეს ჯერ კაცმა არ იცის, რადგან ტელეგრაფის გამართვას მართო ბოძები არ სჭირია. ამა ხსენებული პირველი სექტემბერიც დიდი ხანია გავიდა, მაგრამ არამ თუ სრულებით გამართვა, ჯერ არც მართულის გაბმა, არც სახლი და არც აპარატები სრულებით არსად სჩანს. როგორც ისმის, თუ ესეც მართალია, ახალქალაქში დანიშნული აპარატები ჯერაც პეტერბურღში აწყვილაო.

2) რაც შეეხება ბორჯომიდან ახალქალაქში გზის გაყვანას, ეს ჯერ არც აფიციალურად და არც საზოგადოათ ამ გვარი თქმულობა არა ყოფილა რა.

3) აედრებმა დიდი ენება მისცეს ჯავახეთში პურის მოსაეაღსაო, — ეს გასაკვირველად ეწინააღმდეგება ნამდვილ კეშმარიტებას. აედრებმა არამ თუ აენეს რამე, არამედ გაზაფხულის წვიშებმა და აწ მყოფ მშვენიერმა ტა-

როსმა იქამდე აფეთქა მიწის მოსაეაღლი, რომ ამ გვარ უხეობას აქაური მცხოვრებნი არ მოსწრებია. რაც შეეხება ბალახს, თითქმის ქვაზედაც კი ამოვიდა და ჯერ-ც ხელ-უხლებელი ბევრი ხოდაბუნი ძვეს, რომლის პატრონები იხევეწბიან: გათიბეთ და ნახეარი თივა თქვენთვის გეიჩუქებიაო. როგორ დავიჯერო, რომ უ. კორრესპონდენტმა აქაური პურის მახანდა არ იცოდეს. თითქმის უღლებათ და გასაეალი კი არსაიდ აქეს ასე, რომ ამ ქაშად პური სამარი (20 ფუთი) ხუთად და ექვს მანეთად ფასობს; ქერი კი სამარი (17 ფუთი) ორ მანეთ ნახევრად და სამ მანეთად ისყიდება, და ამბობენ კიდევ დაიწვესო.

4) სამი ყაზახი მოუკლამთ მსმლოს ავახაკებსაო. ამ შემოხვევის სინამდვილე აი რაში მდგომარეობს: იელისის 25 სამზღვარზე ეპოვათ თივის ბულულში გახვეული ერთი (და არა სამი) ყაზახი, რომელიც სრულებით გაცარცული და თავ-მოჭრილი ხსენებულ ალაგს დაემალოთ. ჯერ აქამდის გამოძიებელსაც ვერ უპოვია მისი ნამდვილი მკვლელი. მხოლოდ კი იმითი აქესთ მსმლოს ავახაკებზე ექვი, რომ იმავე რიცხვებში რამდენიმე სოფლიდან ცხენები და ძროხები გაიტაცეს. ამ ქაშად ისეთ ენერგიულათ მოჰკიდა ხელი ამ საქმეს და ისეთ ნაირათ გაამაგრა სამზღვრის პირები ჩვენმა მახრის უფროსმა, რომ იმედია შემდეგში ამ გვარი აღარა მოგვესმარა.

5) კორრესპონდენტი გულ-მტკივნეულ აცხადებს, რომ ახალქალაქში დღეში 3-4 ყმაწვილი წითელათი კვდებაო. აი ნამდვილი ამბავი ამ საგნის შესახებ: სატკივარმა აგვისტოდან დაიწყო, სულ 147 ავთ გამხდარა და ამათში 30 მომკვდარია. მე ეს ცნობა ადგილობრივი ექიმის რაპორტიდან მაწყავს.

არ შეგვიძლია უკანასკნელად სურვილი არ გამოვაცხადოთ, რომ „მშაკის“ კორრესპონდენტი მეორეთ უფრო ფრთხილად მოქცეულ იყოს და რაზედაც სწერს, უფრო ნამდვილი ამბები შეეტყოს.

ილ. ალხაზაშვილი
სამღვდლოების კრება მუთათისში
(მაგრძელება)

ამ პატარა სცენის შემდეგ თავს-მჯდომარემ ყრილობას მისცა შემდეგი წინადადება:

— მამანო დეპუტატო! თქვენ ყველამ მოისმინეთ წინადადება ყოველად სამღვდლოსი. ჩვენ ამ ყრილობაზე ან უნდა გარდაწყვიტოთ მეორე ოთხ-კლასიანი სასწავლებლის გახსნა, სადაც იქნება, ან უნდა ავაშენოთ მოსამზადებელი და პარალელური კლასების ოთახები, ან და შევირდების მიღება მოვსაოთ და ეიდრემდის სასწავლებელში ადგილი არ დაიცლება, მოსამზადებელ კლას-

შიაც შევირდები აღარ უნდა მივილოთ. ძლიერ მსურდა და დღესაც მსურს, რომ მეორე ოთხ-კლასიანი სასწავლებელი გახსნას, გინდ აქ მუთათისში ანუ შორაპანში, თუმცა ამას სამღვდლოება ეისურვებთ. მართი ოთხ-კლასიანი სასწავლებლის შენახვას თავისი მოსამზადებელი კლასით, მე ვგონებ, რომ 6,000 მანეთამდე მეტი არ დასჭირდეს და მართო შორაპანის სამღვდლოებისაგან ბევრი ნაკლები არ შემოვა ფული, თუ ორი საბლალოჩინო მაინც მუთათისის უეზდისა ჩვენთან მოვა. მაზრი დიდი ხანია მითქვამს თქვენთვისაც, მაგრამ, საუბედუროთ, ამას მოწინააღმდეგენი გაუწინდენ ისევე შორაპანის უეზდის სამღვდლოთაგანნი.

ისინი ეუბნებოდენ მღვდლებს, რომ მუთათისის სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლის შენახვაზე 15,000 მანეთი მიდისო და აძენი დაგჭირდებათ თქვენცაო. ამ პირებმა არ იციან, რომ მუთათისის სასულიერო სასწავლებელი, თუმცა ოთხ-კლასიანი სასწავლებლად ირიცხება, მაგრამ იმაში ნამეტანი შევირდების რიცხვია, რაც ორ-სამ სასწავლებელშია ზოგიერთ რუსეთის ადგილას და ეს ნამეტანი ხარჯი მიდის პარალელურ კლასებზე და მათ მასწავლებლებზე. ამისათვის ნორმალური კლასებით ერთ სასწავლებლის შენახვაზე არ წავა იმდენი ხარჯი, რამდენიც ამ სასწავლებელზე მიდის.

ამ წინადადებაზე ბევრი ლაპარაკი ჰქონდათ და მსჯელობა; აქ შეიტყვეს, რომ მოსამზადებელი კლასის შენახვაში თითქმის 5,000 მანეთამდე მიდის; ისეთ მღვდლებს ჰყავს შეილები ზოგს ორი და ზოგს სამი, ოთხიც, რომ შეძლება აქესთ და არც სასწავლებლის შესანახავი ფულები შემოაქვსთ მუყაითად. შოველი მღვდელი ვალდებულია თავისი შეილი შინ მოამზადოს და მომზადებული პირველ კლასში შეიყვანოს; მაგრამ ზოგი ათი-თერთმეტი წლის ბავშვს ქართულს წერა-კითხვასაც არ ასწავლის და მისი ამისთანა დაუღვეწელობით მის მოძმეს, უმეტესად ღარიბს, თავის შეილის მომზადებისათვის ბევრი ფული ხდება. ამისათვის დეპუტატებმა გადაწყვიტეს: „მოსამზადებელი კლასი დაშთეს იმ მშობლებისთვის, ვისაც შეილები იქმნებიან მასში. რადგან თვითონ სასწავლებლის სახლში არის ორი ოთახი თავისუფალი, იმაში გაიხსნას პარალელური განყოფილების კლასები.“ ამ გარდაწყვეტილებაზე რამდენიმე დეპუტატი თანახმა არ გახდა იმისთვის, რომ მათ შეილები ჰყავსთ დღეს მოსამზადებელს კლასში და ფულის გარდახდა ეზარებათ მათი მომზადებისათვის.

მს გარდაწყვეტილება, ჩემის აზრით ძლიერ კარგი და სასარგებლო გადაწყვეტილება არის. ამ ხარჯზე გადარჩენილი 5000 მანეთი უმეტესად სასარგებლო იქმნება სემინარიის



საქმეს რომ დაეხმარება, რომლის დანიშნულებაც ჰქონდა ამ ფულს პირველად და არა მოსამზადებელ კლასზე დახარჯვისა. ეს გააფრთხილებს ყველას და თვითონ ეცდებიან თავის შვილების მომზადებას და თუ ვერ მოამზადებენ, მაშინ, რადგან, კანონითაც ვალდებული არიან თავის შვილის მომზადებისათვის, თვითონვე გადაიხადოს მისი ხარჯი; რააკვირდებიან, ყველა მდიდარი არ იქნება მშობლები, ვინც მოსამზადებელ კლასში შვილებს შეიყვანს და ზოგი ღარიბი იქნება, მაგრამ ამისთანა ღარიბი შვილებისათვის შესაწევნელად ფულიც დასდევს დეპუტატებმა.

ზოგი აქამდისინ რვა წლის ბავშვს მიადგებდა მოსამზადებელ კლასში და ოთხი წელიწადი იყო შიგ; და მათი გამოზნის და სასწავლებლის შენახვისათვის ოთხი წელიწადი უბრალოდ ფული უნდა ეხადა საწყალსხვა მღვდელს. ღღეს სოფლებში შკოლები არის და მუთაისში რომ ოთხი და სამი წელიწადი ხარჯი მოუვა მშობელს ბავშვის მოსამზადებელ კლასის შესრულებაზე, იმისნახევა რომ დახარჯოს, უკეთესად მოამზადებს სოფელში. ამისთანა მოსაზრება ყველა დეპუტატებმა მიიღეს სახეში და ამიტომ გადასწყვიტეს ეს საქმე ასე.

შვირდებისთვის საზოგადო ბინის აშენებაზე, რომელსაც უმაღლესი მთავრობა ძლიერ ურჩევს სამღვდლოებას, აი რა განაცხადეს: ჩვენი უმთავრესი ყურადღება დღეს არის მიქცეული მუთაისში სემინარიის დაარსებაზე და ვიდრემდის ეს საქმე არ გათავდება, მანამდის ამისთანა საზოგადო ბინის აღშენებაზე გადიდვას ლაპარაკი, რადგან ზოგიერთ ადგილობრივ გარემოებათა გამო დიდი სასარგებლო არ დარჩება ეს ბინები.

ხან-დის-ხან, მართლა, ისეთ რამეს მოიფიქრებს თბილ ოთახში კაცი, რომ ძლიერ კარგი რამე ჰგონია, მაგრამ ნამდვილად აღსრულება საქმით ძნელია ხოლმე. რომ ყველამ იცოდეს—თუ როგორ სარჩოს აძლევდნ თავის მამები ჩვენ შვირდებს და ჩვენებური გარემოება ჰქონდეს კარგად გაგებულნი, მე არ ვგონებ, რომ ამისთანა საზოგადო ბინის აშენება ურჩიონ სამღვდლოებას. დაყენეთ თუ გინდ ერთი ოცი შვირდი ერთად. მართი მოიტანს თვეში ოთხ ბათმან სიმინდის ფქვილს, მეორე სამ ბათმან ღომს და საქამდათ ღობიოს, ერთმა იქნება ერთი მანეთი გარდაიხადოს ხორცის ფული, ზოგმა ორიც, მაგრამ ზოგი ისეთი იქნება, რომ მოხარული ხორცი გამოუგზავნონ ხოლმე სოფელიდან და ისიც თვეში ორჯელ-სამჯერ და დანარჩენზე ღობიოთი კმაყოფილდებოდეს. როგორ შეინახოს კაცმა ამისთანა შვირდები? ძარგი იქნება, რომ ყველა გადაჭრილ ფულს შემოატანდეს; მაგრამ განა ეს ყველას შეუძლია, ყველას ეადვილება? ეს გარემოება არ იციან რევიზორებმა და იხიან: მაინც და მაინც საზოგადო შვირდების ბინა

აშენეთო, ერთი ზედამხედველი იქმარება მათთვის და უმეტესი მხედველობა ექნება მათზედო. ეს აზრი, ჩემის ფიქრით, ტყუილია: პანსიონში შვირდები ხომ ერთად არიან, მაგრამ საშუალო რიცხვით, რომ ავიღოთ, კარგ ზნეობიან შვირდსა გარეთ უმეტესად ნახეთ, თუმცა მათ იმდენი ზედამხედველობა არა აქვს, რამდენიც პანსიონერებს.

ამის შემდეგ თავსმჯდომარემ მისცა ყრილობას შემდეგი წინადადება:

— მრავალ გზის გითხოვნიათ და დღესაც იმას თხოულობთ, რომ დაწერილებითი ეკონომიური ანგარიში გაიგოთ სასწავლებლის შესავალ გასაელისა. შ. ზედამხედველი იმ ანგარიშს გაძლევს თქვენ, რომელიც ამას წინათ ყრილობაში განიხილეთ, მაგრამ თქვენ როგორც მაშინ, ისე დღეს დაწერილებით ანგარიშს ვერ ტყობულობთ. თუმცა ეს გამოცდილი სასწავლებლის ზედამხედველისათვის დიდ საქმეს არ შეადგენს, მაგრამ ამისთანა ანგარიშის შედგენა, როგორც ხედავთ, საძნელო შეიქნა.

ამისთვის, ჩემის აზრით, სასარგებლო იქნება, რომ ჩვენი გადასახადი ფული სემინარიის დასაარსებლად და სასწავლებლის სასარგებლოდ დაესდეთ ერთი გარდაწყვეტილი, არაოდეს არც მოემატოს და არც მოეკლოს ამ შემოსავალს, ჩვენგან იქნება შემოტანილი თუ სხვა და სხვა წყაროებიდან. ამისთანა ანგარიშიდან ძლიერ ადვილად შეგვეძლება შეეიტყოთ: რა უნდა შემოვიდეს ყოველ წელს, რა შემოტანილა, რა დარჩენილა, რა დახარჯულა და რამდენი არის გადნარჩენი ფული. ამისთანა ანგარიშის ერთხელვე დაწყობით არ დაიკარგება ერთი კაპიკი, ვიხედაც უნდა დარჩეს შემოუტანელი და თქვენც ადვილად გაიგებთ ანგარიშს ყოველთვის. წინა ყრილობების დროს ისე უწესოთ იყო განსაზღვრული ფულის შემოტანა, რომ დღესაც არ აქვს სასწავლებლის სამმართველოს გაგებული ნამდვილი ანგარიში. მართალია, სასწავლებლის წესდების § 41-თ თქვენ ყოველ წელს დაბეჭდილი წლიური ანგარიში უნდა გირიგდებოდეთ და არა თუ მართო თქვენ, ყველა მღვდლებს, სასწავლებლის სამმართველოსაგან, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არსად არ სრულდება სასწავლებლის ზედამხედველებისაგან.

მოისმინეს თუ არა ეს წინადადება, დეპუტატებმა ერთხმად გადასწყვიტეს: ამ სექტემბრიდან 10,000 მანეთი, რომელიც ყოველ წლივით უნდა შემოსულიყო ხოლმე, გაიწეროს ყველა მღვდლებზე, კომლის რიცხვზე, კომლზე ხუთი შაური სანთლის, სარგებლის ფულის ზედ დათვლით და ამერიდგან უმეტესაკლებოდ წარმოიდგინებოდეს ხოლმე ყოველთა დეპუტატთაგან კომლის რიცხვი მოიკლებს თუ მოიმატებს. სასწავლებლის ეკონომიური ანგარიში უთუოდ კანონიერად შედგენილი ქართულს ენაზე დაბეჭდილი დაგვირიგდეს ამ წლის შემდეგ ყოველ წლი-

ბით. თვითონ თავსმჯდომარე დაპირდა სამღვდლოებას იმისთანა ანგარიშის დაწესებას, როგორც ხანებში არის; ამით ადვილად შეეიტყობს კაცი—თუ ვის რა შემოუტანია, ანუ რამდენი ვიხე დარჩენილა, და ამნირად ვგონებ შემდეგ მაინც მიეცეს მათ წლიური სასწავლებლის ეკონომიური ანგარიში.

რუსეთი

რუსულს გაზეთებში გამოცხადებულა, რომ ღენერალ-ადიუტანტს ქაუჭმანს რუსის ჯარით ძოკანის სახანოს დედა-ქალაქი (ძოკანი) აულია და ახლა საზოგადოთ თურქისტანის მაზრაში სრული მშვიდობიანობა არისო.

იმ საზოგადოება, რომელიც დაჭრილი და ავთამყოფი მხედრებისთვის ჰზრუნავს, 10,000 მანეთი გადაუდგია აჯანყებული გერცოგოვინელისა და ბონსიელებისათვის.

პეტერბურლის სასამართლოებში მოსამსახურე პირები აპირებენ გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობის (ბანკის) შედგენას.

სახელმწიფო ქონების მინისტრმა—მალუევიმა შეადგინა პროექტი, რომ მმართველობამ და ერობამ ყოველი ღონის-ძიება იხმაროს, რომ ხის სახლების მაგიერად, რომელსაც ასე ხშირად ეკიდება ცეცხლი, ქალაქებში და სოფლებშიაც ქვის-სახლები ააშენებინონ მცხოვრებლებსაო. ამ პროექტის განსახილველად მთავრობას ცალკე კომისია დაუნიშნავს.

თერგის მაზრის მთავრობის წინადადებით, უმაღლესი მმართველობა ამ მაზრის უდაბნო ადგილებში და მინდვრებში ტყის გაშენებას შეუდგება.

ბასულ 5 სექტემბერს პეტერბურლის ერთს ეკლესიაში ვილაცას მოუპარავს. პოლიცია დაეძებს ამ ღეთის მგობელ კაცსაო, სწერენ ერთს გაზეთში, მაგრამ ვერ კვალსაც ვერ მიაგნოო.

უცხო ქვეყნები

გერცოგოვინის არაულობა. ღღემდი ოსმალის ოფიციალურს გაზეთებში მუდამ სწერდნენ, რომ „გერცოგოვინის აჯანყება სრულიად მოისპოო; ბონსიაში და გერცოგოვინაში მშვიდობიანობა ჰსუფეესო და ჩვენი ჯარი ვერსად ვერ ხედავს დაბრკოლებასო.“ მაგრამ ახლა კი, როცა ყველა უცხო ქვეყნის გაზეთებში, არა თუ დამშვიდებას, რამდენჯერმე ოსმალის ჯარის დამარცხებას იწერებინ, ოფიციალური გაზეთებიც ველარ ბედვენ ამის თქმას. ასლა ისინი მუდამ დღე აცხადებენ, რომ მმართველობამ ამღენი და ამღენი ჯარი გაგზავნა აჯანყებულების დასამორჩილებლად და იმედიო.

რომ მალე არეულობა სრულიად მოისპობაო.

აჯანყებულები ახლა სწავნიან ომს შედგომიან: ნაწილ-ნაწილად იყოფიან თურმე, ას-ასი, ორას-ორასი კაცი ერთად გროვდებიან და ხან ერთსა და ხან მეორე ალაგას თავს ესხმებიან და მოსვენებას არ აძლევენ ოსმალს ჯარსა.

ზოგიერთი ოსმალის მომხრე გაზეთები ურჩევენ აჯანყებულებს, რომ თოფ იარაღი დაჰყარონ და მაშინ ოსმალს უეჭველად ყველა იმ ცვლილებას მოახდენს ადმინისტრაციაში და ხარჯის მოკრეფაში, რასაც კი ხალხი ისურვებსო.

იმაზე ერთი ჩერნოგორიელი გაზეთი ამბობს პასუხად, რომ ჩვენ დარწმუნებული ვართო, რომ ამ პირობას მისცემს ოსმალს მთავრობაო; მაგრამ მეორეს მხრით იმაშიაც კარგათ დარწმუნებული ვართო, რომ ამ დაპირებას თავის დღეში არ შეასრულებსო. საქმე იმაშიაო, რომ საზოგადოთ ოსმალს ყველა ჩინოვნიკები ისეთი გაფუჭებულიები, მექრთამეები და შეუბრალებლები არიან, განსაკუთრებით როცა საქმე ქრისტიანებზე მივარდებო, რომ ბევრიც რომ უნდოდესთ, კარგი ჩინოვნიკების დაყენებასა და პატიოსნათ გამგეობას ვერ შეიძლებსო.

ბოლგარიაში დასახლებულ ჩერქეზებისათვის ოსმალს მმართველობამ თოფ-იარაღი დაურიგა, ვინც ცობა არეულობა მოხდეს, სლავიანებს უნდა ებრძოლოთო.

სპრბია. რადგან ოსმალს მმართველობამ სერბიის სამზღვარზე ბევრი ჯარი დააყენა და ამბობენ კიდევცა, რომ ეს ჯარი ოსმალს სერბიაში უნდა ჩააყენოსო, ამისგამო სერბიის მმართველობას განკარგულება მოუხდენია, რომ თავის ჯარებიც მზად ყვანდეს და ყოველ შემთხვევაში სალაშქროთ გამგზავრებას მოელოდოსო.

ქრონიკა

შარნავაზისაგან დაღვნილი სამხედრო ვანი

შარნავაზმა შემოიღო საქართველოში სამხედრო წესიცა. მაგრამ რადგან ყველა სწავლულების მჯელობით საქართველოში არაოდეს არ მოშლილა ის წესები, რაც ძველის ძველადგანვე იყო დაწყობილი, ამისათვის მე იმ საქართველოს სამეფოს სამხედრო წესებზე აღარ ვიტყვი, რომ ისინი შემოიღო შარნავაზმა, არამედ დაეწერ საზოგადოდ ისრე, როგორც ყოფილა ეს წესი ვიდრე საქართველოს სამ სამეფოდ გაყოფამდე.

სამეფოში პირველი სამხედრო და სამოქალაქო პირი იყო სპასპეტი ანუ სპასალარი. ამას ემორჩილებოდნენ ყველა ერისთავები და ჯარები. როცა გარეშე მტერი მოადგებოდა საქართველოს, სპასალარი, გაიგებდა თუ არა, მაშინვე შეატყობინებდა ერისთავებს. მსენი შეჰყრიდნენ თავ-

ვიანთ საერისთავოებში ჯარებს და მო-
ვიდოდნენ მასთან. ეს მიიღებდა
ჯარების წინამძღოლებს, წაუძ-
ლებოდა წინ და მიიყვანდა მტერზე
საომარად. მტერს დაამარცხებდნენ
და ვინც ომში რასაც იშოვიდა, თა-
ვისი იყო. არავის შეეძლო იმისი
წართმა, რადგან ყველა თავისი სი-
სხლით მოულოდბდა. ამ ლაშქარი-
ნობაში ერისთავებსაც თავისი მორ-
ჩილი ჯარის უფროსები ჰყავდნენ.
ამათ ებარათ ათასი კაცი და ერქოთ
ათასის თავი (ანუ შილარხი). ამის-
თანა ათასის თავი თითო ერისთავს
იმდენი ჰყვანდა, რამდენსაც იმის სა-
ერისთავოში, კანონისამებრ, როგორც
ზევით დაწვევით, ჯარის გამოყვანა
შეეძლო თავის მარჯაფით თავადსა
და აზნაურს.

მაგრამ ესეც არის, რომ ჯარში
გამოსვლა შეეძლო იმას, ვინც თა-
ვისუფალი კაცი იყო, ესე იგი არ
იყო ვისიმე მონა, რადგან მონების
მოვალეობა მხოლოდ მუშაობა იყო.
ამისათვის ვისაც უფლება ჰქონდა
ჯარში წასვლისა, ის სიყმაწვილიდ-
განვე სწავლობდა სამხედრო ხელო-
ბას, ცხენზე ჯდომას და ნადირობას.
ეს იყო იმის მიზეზი, რომ მხედარს
ძალიან დიდი პატივი ჰქონდა ხალ-
ხში.

ჯარები განიყოფებოდნენ ორ ნა-
წილად: ერთი იყო ცხენოსანი ლაშ-
კარი, მეორე ქვეითი ჯარი.

მაგრამ რამდენი იყო ეს ჯარი, ეს
ნამდვილად არ ვიცით. მხოლოდ
ცხადია, რომ არტაგს როცა ის გა-
მოვიდა პომპეისთან საომარად, 19
ათასი კაცი მოუკვდა. პლუტარხის
მოწმობისამებრ, ამბობს ბართაშვი-
ლი თავის ისტორიის მე-33 გვერდზე,
არტაგსა ჰყვანდა 40000 კაცი, აპ-
პინის სიტყვით კი 70000 კაცი.

საქართველოს ჯარები, ამბობს
აქვე იგივე, ყოველთვის სახელგან-
თქმულნი იყვნენ თავიანთ მამაცო-
ბით და კარგის წყობილებით. ეს
წყობილება ქართველ ჯარში შემო-
იღო შარანგაზმა, რომელმაც სხვა
და სხვა წესდებთა შორის დაფუ-
ძნა სამხედრო წესიცა. ისტორიკო-
ლები და რომის პოეტები: პოლიბი,

მცხოვრები მეორე საუკუნეში ძრ-
დაბ. წინად, პირგინი, ლორაცი და
ლუკანი თითქმის რომაელების ქარ-
თველებთან ომის დროს მყოფნი,
და ისტორიკოსი ტაციტი მცხოვრე-
ბი ქრისტიანობის პირველ საუკუნე-
ში, ერთ ხმად დიდად აქებენ ქარ-
თველ ჯარებს. ამ მწერლებმა იმა-
ზედაც კი დაგვიტოვეს ცნობები, რომ
ქართველ ჯარებს ეცვათ წითელი
პერანგები და განიყოფებოდნენ ცხე-
ნოსან და მშვენიერ ქვეით ჯარად.
ამ ჯარების გარდა, რომელსაც შეე-
ძლო გარეთ წასვლა-მოსვლა, საქარ-
თველოს კიდევ ჰყვანდა შინ თა-
ვადმცველნი მცხოვრებნი, რომელნიც
იყვნენ აღჭურვილნი თავის მძლე-
რი მამაცობითა და ქვეყნის მდებია-
რებაც ხელს უწყობდა. თუმცა და-
საჯერი არ არის წარჩინებული სტ-
რამონის სიტყვები, რომ ერთობც
მხოლოდ მარტო სვანეთს შეეძლო
გამოეყვანა ომის ველზე 200,000
შეიარაღებული კაცისა, მაგრამ მაინც
შეიძლება დამტკიცებით ესთქვათ,
რომ ყველა საქართველოს მცხო-
ვრებს ძალიან კარგად შეეძლო ხმა-
რება იარაღისა და შეეძლოთ დაცვა
თავის მკიდროდ დასახლებული სამ-
შობლო ხეობებისა. აი რაში მდგო-
მარეობდა საქართველოს სამხედრო
ძალა სამეფოს დაარსების პირველ
საუკუნეებში. იმათ შეეძლოთ ყო-
ველს მძლეობისათვის წინააღმდეგო-
ბა გაეწინათ, თუ რომ ყოველს
იმათ მეფეებს ჰქონოდათ ნიჭი მარ-
თველობისა.

ინგილო ჯანაშვილი

ნარევი

„ხალხთა - შორის მშვიდობიანობისა და
თავისუფლების საზოგადოებამ,“ რომლის კონ-
გრესი არის ამ ყმადა, დაპატიების წიგნი
გამოუგზავნა მიქტორ ჰიულგოს. მიქტორ
ჰიულგომ მოსელაზე უარი შეუთვალა და წი-
გნის პასუხად, სხვათა შორის, მისწერა, რომ
მშვიდობიანობაზე ფიქრი მე მივატოვეთ; „სა-
ნამ საფრანგეთი დაჩაგრული და წვალებუ-
ლია, სანამ იმას რეინის საშლვარი არ შეუ-
ძენია, მანამ მშვიდობიანობას მე არ თანაუ-
გრძნობ, რადგან საფრანგეთის დაჩაგრვა -
მთელი კაცობრიობის დაჩაგრვა არისო.“

**

მრას ფრანკებს იხეთი ორთქლის ეკი-
პაჟი მოუგონია, რომელსაც ერთი კაცი თა-
ვისუფლად ატარებს თურმე ქუჩაში და რა
მიმართულედაც უნდა, იმას მისცემს. აქი-
პაჟს „ორთქლის ცხენი“ დაარქვეს, რადგან
ცხენსავეთ ოთხი ფეხი აქვს თურმე, რომელ-
საც რიგ-რიგით გადაადგამს და რომელზე-
დაც რიზანა (კაუჩუკი) აქვს აკრული, რომ
არ გააცდეს.

**

სტატისტიკური გამოანგარიშებით მარტო
მეროპის სახელმწიფოებსამაჟამდ 5,000,000
(ხუთი მილიონი) ჯარი ჰყავს და ამ ჯარსა
და საზოგადოთ სამხედრო საქმეს მთელი შე-
მაოსვლის 88% უნდებოდა...

განცხადება

მესამე წელიწადია, რაც მე მოს-
წავლავების ბინა მიჭირავს ქ. მუ-
თაისში. დღეს თამამათ შემოძლია
ესთქვა, რომ ეს ბინა ჯერ უსარგე-
ზლო არ ყოფილა საზოგადოებისა-
თვის. მართალია, ამისთანა საქმეს
საზოგადოთ ყველასი მომადლიერება
არ შეუძლია, არ შეუძლია მისთვის
რომ მოსწავლეების კეთილ-დღეობა
მარტო ბინის მზრუნველზე არ არის
დამოკიდებული.

თუ ვინმეს რამე სასაყვედურო
აქვს ჩემს ბინაზე და ან აწი შეხედეს,
უმორჩილესად ესთხოვ, გაზეთში გა-
მოაცხადოს. ჩვენ ვეცდებით, ან თა-
ვი გავიმართლოთ მასთან და ან (თუ
ჩვენი თავი ესტანით დამნაშავეთ)
თავიდან ავიშოროთ ის ნაკლულე-
ვანება, რომელსაც ჩვენ დაგვიმტკი-
ცებენ. ამით, როგორც ბინას, ისე
საზოგადოებას მოუტანთ სარგებ-
ლობას.

მოსწავლეების რიცხვი წარსულ
წლებში ხუთმეტედამ ოცდა შეიძამ-
დის აღიოდა. მოსწავლეების ბინას
ყოველთვის კარგი მასწავლებლები
ჰყავდა მეტადრე ამ უკანასკნელ წელს
სინილისიერათ მშრომელ და თავის
საქმის მცოდნე მასწავლებლების მო-
წყალებით იმ ცამეტ მოსწავლეებთა-
გან, რომლებიც გიმნაზიაში მისაღე-
ბათ წარვადგინე, მხოლოდ ერთმა
ვერ დაიჭირა ეკზამენი. სხვები მიი-
ღეს მეორეში, მეოთხეში და მოსა-
მზადებელ კლასებში. პირველი კლა-
სისთვისაც გეყავდა ყმაწვილები, მაგ-

რამ ეკანისის უქონელობის გამო,
გიმნაზიის მთავრობამ ეგზამენი არ
დააქვინა და ამანათქმის ძისძი და-
ჩენ მოსამზადებელ კლასში.

მომავლისათვის, იმედი მაქვს, უფ-
რო კარგათ წავა ბინის საქმე, თუ
საზოგადოებამ თანა უგრძნო და თა-
ვის დროზე შემოიტანა ის მკირე
ფული, რომელსაც ჩვენ მას ვანდე-
ვინებთ.

ქაწვილის ჩემს ბინაში შენახვისა-
თვის მშობელს წლის გასვლამდა
გადახდება ო რ ა ს ი მ ა ნ ა თ ი. მო-
სწავლეს უნდა ჰქონდეს თავისი
ლოგინი, ტანისამოსი, სტოლის ია-
რადი და წიგნები.

დაწერილებით პირობების შეტყუა-
ბა შეიძლება მოსწავლეების ბინაში,
რომელიც არის პლექსანდროვისკის
ქუჩაზე უ. ძვეერაძის სახლებში.

მოსწავლავების ბინის მზრუნველი
ს. ძიმიხტარიშვილი
(3-2)

ახალგაზრდა კაცს ჰსურს ას-
წავლოს შეგირდებს პროგიმნაზიის
კურსიდა. საგნებს გარდა შეუძლიან
ასწავლოს ენები: მართული, სომხუ-
რი, რუ ული, ფრანგუზული და ლა-
თინური.

იღებს აგრეთვე შეგირდებს თავის
სახლში მდგმურებად (პანსიონერე-
ბათ). დაწერილებითი პირობებისა-
თვის მსურველს შეუძლიან მიმარ-
თოს: სუბ-ნიშანის ქუჩაში, ტერ-აკო-
ფოვის სახლებში, აბესალომოვის სა-
ხლების პირ-და-პირ.
(4-2)

ღიბეკდა და ისყიდება
თამარ სამართავლოს
ბატონისშვილი
ისტორიული რომანი
ბ. რ ჩ ე უ ლ ო ვ ი ს ა.
თფილისში: მედიკოსიფილის და
ამხ. სტამბაში და მნფიაჯიანცის
წიგნის მაღაზიაში.
შასი ყველგან ექვსი შაური.

უფ. ივანოვის ბიბლიოთეკაში ის-
ყიდება მეორე გამოცემა
ქართულ-ფრანგულ ლექსიკო-
ნისა, რომელიც შედგენილია იე-
როტინიანცისაგან. შასი ერთი აბაზი.

რ.პ. ზ.ზ.	ლილა.	სალამ.	II კ.	III კ.	საქმის გეგმა	ფორმა	ბირჟა	მან. კაპ	მაზანდა	მან. კაპ
თფილისი	936	454			ა) შოთილამ:	ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:	პეტერბურგი, 10 სექტემბ.		თფილისი, 13 სექტემბ.	
მცხეთა			68	38	მდესისკენ - ორშაბ. დილისშხაათ.	საშლვარ გარეთ, მუთათის, რუხეთს	ერთი მანეთი ლირს:		პური შორაგალის ფთ.	1 5
ზორი	1221	841	240	123	სტამბოლს - კვირაობით დილას.	ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ.	ლონდონში 33 1/8 პენსი.		მერი ფუთი.	60
ხაშური	2	1110	392	218	ბ) სოხუმდამ:	ოთხშ., მზურგეთს - პარასკ და	პარიზში 33 1/2 სანტიმი.		ბამბა მრეწვისა, ფუთი.	5 20
ბეჟათუბანი			442	246	შოთს - სამშაბათს, ღამით.	შაბ. ძახეთს - სამშ. და შაბ.	მსკონტი(სარგებლისფასი)		- ამერიკისა, ფუთი.	
შვირილა			581	323	მდესას - კვირას, გათენებისას.	ბ) შ უ თ ა ი ს ი დ ა მ:	ბანკის ბილეთი 5%		ბაჟენტილი ბამბა ფთ.	8
მუთაისი	823		675	375	შოთილამ: I II III	თფილისისა და შოთისაკენ - ყო-	მოგებიანი(პირველისესხი)		მატული თუშური ფთ.	7 80
სამტრედია			773	429	სოხუმდამი . 4 3 1	ველ დღე, კვირას გარდა. მზურ-	მოგებიანი (მეორე სესხი)		- თრაქამისა ფთ.	4 50
ახ.-სენაკი			857	476	მერჩამდი . 20 50 15 50 5	გეთს - ორშ. და პარასკ. ზუგდიდს	ბირაოს ფურცლები:		აბრეშუმი ნუხური გრ.	2 60
შოთი	1144		975	542	ტაგანროვ. 34 27 8 60	- ოთხშაბ.	თფილ. სააზნ. ბანკისა.		მონი, ფუთი.	4
შოთი	840				მდესამდი. 38 30 9 60	გ) ბ ო რ ი დ ა მ.	ხერსონის ბანკის (5 1/2)		მონის სანთელი ფუთი.	5 60
ახ.-სენაკი			118	66	ტელეგრაფი	ყოველგან ყოველ დღე, კვირას	მოსკოვის (5%).		სტეარინის სანთელი, ფ.	10 20
სამტრედია			261	14	მცი სიტყვა თფილისიდან:	გარდა.	აქციები:		ხორცი ძროხისა, ლიტ.	45
მუთაისი	1151		341	69	მუთაისის, შოთს	დ) შ ო თ ი ღ ა მ:	მდესის ხაფირო ბანკის		- ცხვრისა, ლიტრა	54
შვირილა			398	21	ზორს, ღუშეთს, სიღნაბს	ყოველგან ყოველ დღე, კვი-	შოთი-თფილ. რკინ. გზის		სპირტი, ვედრო.	6 60
ბეჟათუბანი			533	296	როსტოვს მდესას მოსკოვს	რას გარდა.	შავიზღვის ცეცხ. გემების		შაქარი, ბროც. ფუთი	8 15
ხაშური	541		165	84	პეტერბურგს, მარშავს	წიგნის გაგზავნა რუსეთში	ძავეკანის და მერკურის		- ფხვნილი ფუთი	6 80
ზორი	723		367	364	მსხალეთში, შევიცარიაში	და საშლვარ გარეთ:	პირგ. საზღვევ. საზოგ.		შავა გრგვალი ფუთი	18 50
მცხეთა			985	41	იტალიაში და საფრანგეთში.	ლია წიგნის	პეტერბ. საზღვევ. საზ.		ხეთი ქუნჯუთისა ფთ.	6
თფილისი	1016		724	975	ინგლისში.	დაბეჭდილის (სამი მისხალი)	მოსკოვის საზღვევ. საზ.		მქო 1/2 იმპერიალი	5 88